

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**თეა თათანაშვილი**

**ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიისათვის.  
*მამა კეძრა ტაბალაშვილი***

*ისტორიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი*

**დისერტაციის მაცნე**

**თბილისი – 2024**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სადოქტორო პროგრამა: საქართველოს ისტორია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**კახა კვაშილაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ექსპერტები:**

**გიორგი ანთელაძე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**როინ ყავრელიშვილი**, ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

**ოფიციალური რეცენზენტები:**

**მურმან ჰაბაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ოთარ ჯანელიძე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება -----  
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: მისამართი: ანა პოლიტოვსკაიას ქ. №26, VII სართული, ზვიად გამსახურდიას დარბაზი.

**სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:**

**ლია ახალაძე**, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მისამართი: ანა პოლიტოვსკაიას, 61, 0186, თბილისი, საქართველო.

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**ნაშრომის აქტუალობა:** ქართველების სარწმუნოებრივი კავშირი რომთან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის მიხედვით, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ემთხვევა. ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიის დასაწყისი კი XIII საუკუნის I ნახევარს უკავშირებდა, მაშინ, როდესაც საქართველოში მოღვაწეობა დაიწყო ევროპელმა მისიონერებმა

ქართველმა კათოლიკეებმა და უცხოელმა მისიონერებმა ქვეყნის ისტორიაში, ქართული კულტურისა და მეცნიერების, ასევე სამკურნალო დარგის განვითარებაში, უდიდესი წვლილი შეიტანეს. ისტორიამ შემოგვინახა ისეთი საზოგადო მოღვაწეების, ქართველი კათოლიკეების სახელები, როგორებიც არიან: სულხან-საბა ორბელიანი, ივანე გვარამაძე, პეტრე ხარისჭირაშვილი, მიხეილ თამარაშვილი, შალვა ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, იოსებ მერაბიშვილი, პეტრე მერაბიშვილი, შიო ბათმანაშვილი, პიო ბალიძე, ბენედიქტე ვარდიძე, პეტრე ტატალაშვილი და სხვ.

ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობა აღსანიშნავია როგორც საქართველოში, ისე – უცხოეთში. სწორედ ქართველმა კათოლიკეებმა 1861 წელს სტამბოლში დააფუძნეს „უბიწოდ ჩასახვის კონგრეგაციის საძმო“, სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველების ევროპულ განათლებას, ოსმალეთის ქართველებში წერა-კითხვის გავრცელებას, სტამბოლში ქართული სტამბის დაარსებას და სხვა.

საბჭოთა პერიოდში, XX ს. 90-იან წლებამდე ქართული საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ინფორმირებული სავანის არსებობის შესახებ თუმცა მესხეთში, სავანის მესვეურთა შთამომავლებმა კარგად იცოდნენ ამის თაობაზე. საბჭოთა ცენზურის გამო სტამბოლის ქართული სავანე ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა. მესხეთის მკვიდრნიც გაურბოდნენ ამ თემაზე საუბარს. პირველი მეცნიერი, რომელმაც საბჭოთა პერიოდში სავანის თემა წამოსწია და მონოგრაფიულად შესწავლა სცადა, გახლდათ შოთა ლომსაძე. მან „ახალციხურ ქრონიკებში“ სავანის ისტორიის გარკვეული პერიოდი ასახა 1990-იანი

წლების შემდეგ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, არაერთი მკვლევარი დაინტერესდა სავანის ისტორიითა და იქ არსებული მასალით (გ. შარაძე, შ. ლომსაძე, მ. პაპაშვილი, შ. ფუტყარაძე, ნ. ყრუაშვილი...).

სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული მასალები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. გარკვეული სამუშაოები ჩატარებული აქვთ მეცნიერებს: შოთა ლომსაძეს, შუაშანა ფუტყარაძეს, ნატო ყრუაშვილს, ციური ლაფაჩს, მერაბ ბერიძეს, მამა ბერიძეს, როინ ყავრელიძევილს, კანა სურგულაძეს, ირაკლი ბარამიძეს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საკითხი აქტუალურია და აუცილებელია ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობის მეცნიერული დამუშავება, რომლის მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა სრულიად ახალი მასალა, რომელიც გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს საერთო ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და ქართულ წყაროთმცოდნეობას. სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული პუბლიცისტური თუ კერძო ხასიათის წერილები, მემუარული ჩანაწერები, საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის ემიგრაციაში ყოფნის საქმიანობის ამსახველი მასალები, სხვადასხვა შინაარსისა დოკუმენტები წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვლევ მასალას დაინტერესებული მკვლევრებსათვის.

ტაძრის აშენება უკავშირდება მამა პეტრე ხარისჭირაშვილის სახელს. 1861 წელს მან ეკლესიის ააშენა სტამბოლის ერთ-ერთ უღამაზეს უბანში – ფერიქოიში. აღსანიშნავია ისიც, რომ მამები, რომლებიც სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწეობდნენ, ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან იყვნენ. სამცხედან იყო მამა პეტრე ტატალაშვილიც.

სავანე ასწლიანი არსებობს მანძილზე (1861-1961) წარმოადგენდა როგორც სასულიერო, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრს. აქ არაერთი ეროვნული, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღონისძიება განხორციელდა. სასულიერო სასწავლებლის, ქართულ-ფრანგული და ქართული-ბერძნული სკოლების (1881), სტამბის (1870), ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (1914), აკაკი წერეთლის სახელობის

ბიბლიოთეკის (1908) არსებობა დასტურია სავანის ძალზედ საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა. სწორედ სავანე გახდა იმდროინდელი ქართველი კათოლიკეების განათლების კერა, რომელმაც გზა გაუხსნა ქართველ ახალგაზრდებს ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი ევროპაში განათლების მისაღებად.

**კვლევის მიზანები და ამოცანები:** ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელების, ასევე, სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის კვლევა, მისი ერთ-ერთი ღირსეული მოღვაწის, მონასტრის მდივნისა და სასწავლო პროცესებზე პასუხისმგებელი პირის, შემდეგ კი, უკანასკნელი წინამძღვრის, მამა პეტრე ტატალაშვილის, მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლა და შესაბამისად, ფართო საზოგადოებისთვის მისი გაცნობა შთამომავლების მიერ შემორჩენილი საოჯახო და სხვადასხვა ფონდებსა თუ არქივებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით. რამდენადაც ეს ცნობები აქამდე სამეცნიერო მიმოქცევაში ფართოდ გამოყენებული არ ყოფილა, ვიმედოვნებთ, მათი წარმოჩენა ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, როგორც მეცნიერული, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით.

კათოლიკობის ისტორიის შესწავლას ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილი, ილია ტაბაღუა, მურმან პაპაშვილი) დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ნაკლებად არის შესწავლილი სტამბოლის ქართული სავანის ისტორია. ვფიქრობთ, მამა პეტრე ტატალაშვილი თავისი მოღვაწეობით ნამდვილად იმსახურებს ცნობადობას. მან ხომ მთელი ცხოვრება უცხოობაში გაატარა, უცხო ქვეყანაში ერთგულად ემსახურა სამშობლოს, ქართველი ხალხის განათლებასა და კულტურულ წინსვლას. საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო ქართველ კათოლიკეთა დამცველი და ქომაგი, მათი სულიერი მოძღვარი. დიდია მისი ღვაწლი როგორც სავანის საუკუნოვანი არსებობისა და განვითარების ისტორიაში, ასევე, ქართველი კათოლიკეების მიმართაც.

სტამბოლის ქართული სავანის უკანასკნელი წინამძღვრის, მამა პეტრე ტატალაშვილის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოჩენა, გახლავთ პირველი მოკრძალებული მცდელობა, თუმცა სხვა წინამძღვრების მოღვაწეობის შესწავლისას (ალფონს ხითარიშვილი, პიო ბა-

ლიძე, შიო ბათმანაშვილი) გარკვეულ ინფორმაციებს მამა პეტრე ტატლაშვილზეც ვხვდებით. სტამბოლის ქართული სავანის ბოლო წინამძღვრის მოღვაწეობა სავანის ისტორიის ნაწილია, შესაბამისად სადოქტორო დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება იზრდება, რადგან სამეცნიერო ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტამბოლის ქართული სავანისა და, ზოგადად, ქართველ კათოლიკეთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

**სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** სადისერტაციო ნაშრომი ძირითად ემყარება საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და საარქივო მასალებს. განსაკუთრებულ ინტერესს მატებს ის საარქივო მასალა, რომელიც მოვიპოვეთ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში, ასევე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მიხეილ თამარაშვილის პირად ფონდში.

საინტერესო მასალა გამოვლინდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მიხეილ თამარაშვილის პირად ფონდში არსებული მასალები №3408/432, №3409/432, №3410/432, №3411/205, №3412/205, №3413/432, №3414/432, №3415/432, №3416/432.

კვლევა განხორციელდა საქართველოს საზღვრებს გარეთაც, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის არქივსა და ბიბლიოთეკაში, თუმცა ამას წინ უძღვოდა 2023 წელს სამეცნიერო გრანტის მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია მეგობრობასთან აკადემიური კვლევებში საქართველოში FARIG (Friends of Academic Research in Georgia). ეს ორგანიზაცია ეხმარება საქართველოში ახალგაზრდა მეცნიერებს ჰუმანიტარულ მეცნიერებების მიმართულებით. ამით FaRiG-ი ხელს უწყობს საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მათი საქმიანობის უკეთ გაცნობას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. სწორედ ამ ფონდის დახმარებით მოპოვებულ იქნა სიმონ ზაზაძის სახელობის გრანტი და მისი მეშვეობით მოგვეცა საშუალება სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა კლესიის ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობის.

მნიშვნელოვანი მასალა მოვიპოვეთ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში, დაახლოებით 45 ქართულ-, 50 ფრანგულ-, 6 გერმანულ- და 5 იტალიურენოვანი წერილი, რომელიც უშუალოდ პეტრე ტატალაშვილის საქაღალდეებში იყო. თუმცა ყველა მისი ავტორობით არაა. მასალა გახლდათ მრავალფეროვანი: კერძო ხასიათის, საქმიანი წერილები, მიმოწერა მრევლთან – სულიერ შვილებთან, სათავგადასავლო მოთხრობები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტამბოლის ქართული მონასტრის არქივში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მასალის კატალოგიზაციის პროცესი, დოკუმენტებს არ აქვს მინიჭებული ნომერაცია იმგვარად, როგორც ეს ოფიციალურ საარქივო სისტემისთვისაა დაწესებული. არქივს პატრონობს სტამბოლში მცხოვრები ზაზაძეების ოჯახი, რომელთა უშუალო დახმარებით და მეგზურობით მოგვიწია არსებული მასალების მოპოვება. დამუშავებულ მასალას პირობითად მივანიჭეთ სახელწოდებები ციტირებისათვის.

**ისტორიოგრაფია.** საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიის შესახებ საკმაოდ საინტერესო ლიტერატურა არსებობს, რომელიც დაგვხმარა სადისერტაციო კვლევის მომზადების პროცესში. ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მიხეილ თამარაშვილის ნაშრომებს. ჩვენი სადისერტაციო კვლევისათვის, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობისაა მიხეილ თამარაშვილის ნაშრომები: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე“ და „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას.“

ასევე მნიშვნელოვანია მურმან ჰაპაშვილის მონოგრაფია „საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეებში“, სადაც მკვლევარი წარმოადგენს საქართველო რომის ურთიერთობებს, კერძოდ ვატიკანთან სარწმუნოებრივ, დიპლომატიურ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების საკითხებს.

საყურადღებოა ელდარ მამისთვალიშვილის ნაშრომი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“ (I-V ტომები), რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს XII-XVIII საუკუნეებს.

ასევე, ილია ტაბაღუას ნაშრომები, რადგან, მიხეილ თამარაშვილის შემდეგ, ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში ახალი დოკუმენტების გამოვლენის საქმეში მას დიდი წვლილი მიუძღვის. მეცნიერმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ გაბნეულ მასალებს მოუყარა თავი და 1984-1987 წლებში გამოსცა ტომებად: „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“.

საქართველოში კათოლიკობის ისტორიის, განსაკუთრებით კი მესხეთში არსებული მდგომარეობის შესახებ ასევე მნიშვნელოვან კვლევებს წარმოადგენს შოთა ლომსაძის ნაშრომები: „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან – ახალციხური ქრონიკები“ (1979), „მესხები და მესხეთი“ (1996), „სამცხე-ჯავახეთი (2011).“

ზაქარია ჭიჭინაძე იმ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ქართველ კათოლიკეთა პრობლემების წარმოჩენას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა: „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი,“ „ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები,“ „ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი.“

კვლევისთვის საინტერესო ცნობებს წავაწყდით კახა სურგულაძის, ირაკლი ბარამიძის, ხათუნა დიასამიძის, ტატიანა კოპალეიშვილის 2022 წლის კოლექტიურ მონოგრაფიაში – „კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში.“

ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია შემდეგი სადისერტაციო ნაშრომები: ეკატერინე ფავლენიშვილის „კათოლიკობა საქართველოში“ (XIX საუკუნე) და ნათია ნაცვლიშვილის „კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა.“

სტამბოლის ქართული მონასტრის ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის შუამანა ფუტკარაძის კვლევებს. „სტამბოლის ქართული სავანე“, „საქართველოს და ქრისტიანული დასავლეთ ევროპის ურთიერთობა“, „ქართული კულტურის კერა სტამბოლში“, „სტამბოლის ქართული სავანე – თურქი და ქართველი ხალხის მეგობრების სიმბოლო“, რომლებიც მეცნიერმა მიუძღვნა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართული კულტურის კერას – სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერს.

მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ქართველ კათოლიკეთა



ისტორიის მკვლევარის, ნატო ყრუაშვილის ნაშრომებმა: „ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში“, „სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვრები ხიზაბავრიდან“, „ალიოზ (შიო) ბათ-მანაშვილი.“

სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის და იქ მოღვაწე ბერების ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ საინტერესო მოსაზრებებია წარმოდგენილი რენალდო მარმარას კვლევაში, ფრანგულ და იტალიურ ენებზე, „დოკუმენტები ქართული ეკლესიის ისტორიიდან“, გამოცემული წმინდა საყდრის სახელმწიფო ისტორიული არქივში მოპოვებული მასალების მიხედვით.

საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როლანდ თოფჩიშვილის კვლევები: „XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ“ (თბ., 2021), „დეეთნიზაციის პროცესები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში: (ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები) (თბ., 2022) და სხვა ნაშრომები.

**სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტი:** სტამბოლის ქართული სავანის ისტორია, მისი ერთ-ერთი ღირსეული მოღვაწის, მონასტრის მდივნისა და სასწავლო პროცესებზე პასუხისმგებელი პირის, შემდეგ კი, უკანასკნელი წინამძღვრის, მამა პეტრე ტატალაშვილის, მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლა და შესაბამისად, ფართო საზოგადოებისთვის მის გაცნობა შთამომავლების მიერ შემორჩენილი საოჯახო და სხვადასხვა ფონდებსა თუ არქივებში შემორჩენილი ცნობების მიხედვით.

**გამოყენებული კვლევის მეთოდები:** კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიული კვლევის მეთოდებს, როგორებიცაა: აღწერა, ისტორიულ-შედარებითი, ემპირიული, მიზეზობრივ-ისტორიული ანალიზი სტამბოლის ქართულ კათოლიკური მონასტრის საარქივო ფონდში დაცული ეპისტოლური და მემუარული მასალების გამოყენებით.

**კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები.** სადოქტორო ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს სტამბოლის

ქართული სავანის უკანასკნელი წინამძღვრის, მამა პეტრე ტატალაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოჩენა ზემოხსენებულ სავანესთან არსებული საარქივო მასალების გათვალისწინებით; 1930-1940-იან წლებში სტამბოლის ქართული მონასტრის საგანმანათლებლო საქმიანობა; მონასტერთან არსებულ სკოლებში მოქმედი სასწავლო პროგრამები (აღმოვაჩინეთ საარქივო მასალებში); სტამბოლის ქართული მონასტრის კულტურული და რელიგიური საქმიანობა 1930-1940-იან წლებში.

წარმოდგენილ საკვალიფიკაციო ნაშრომში ჩვენს მიერ ახლებურად გააზრებული და დაზუსტებულია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები, კერძოდ:

- დავაზუსტეთ სტამბოლის ქართული მონასტრის სტელაზე არსებული შიო ბათმანაშვილის წინამძღვრობის წლები;
- დავაზუსტეთ მამა შალვა ვარდიძის დაბადების თარიღი;
- წარმოვაჩინეთ სტამბოლის ქართული მონასტრის შემადგენლობა 1917, 1922, 1923, 1947 წლებში, მამა პეტრე ტატალაშვილის მომზადებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით;
- კიდევ ერთხელ შევხვეთ სტამბოლის ქართული მონასტრის ქონებასთან დაკავშირებულ საკითხს. აღმოჩინდა, რომ პრესაში გამოქვეყნებული პოლემიკა რაფიელ ინგილოსა და შალვა ვარდიძეს შორის არ იყო ერთადერთი წყარო პრობლემის წარმოსაჩენად. რინალდო მარმარამ რომის საისტორიო არქივის მასალებში მიაკვლია სტამბოლის ქართული მონასტრის საძმოს მხრიდან ვატიკანში გაგზავნილ დოკუმენტებს. სადისერტაციო ნაშრომში საუბარია ამ დოკუმენტებზე.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო და ნაშრომის სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ძირითადად განვიხილავთ XIX-XX საუკუნეებს, თუმცა საკითხის უფრო სრულყოფილად წარმოჩენისათვის, პირველი თავი ეთმობა საქართველოში

კათოლიკობის ისტორიის მიმოხილვას XIII საუკუნის 20-30-იანი წლებიდან XVIII საუკუნემდე.

შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის პოლიტიკასა და კათოლიკე მისიონერების მდგომარეობაზე. ცალკე თავად გამოვყავით სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკეების მდგომარეობა XIX საუკუნის II ნახევარში, მათი ბრძოლა ეროვნული და სარწმუნოებრივი უფლებების დაცვისათვის.

მომდევნო თავში განვიხილავთ მესხეთში მცხოვრები კათოლიკეების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას – ფრიქოის სავანის დაარსებას, მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელობას. მესამე თავი კი, სრულიად ეძღვნება სტამბოლის ქართული სავანის უკანასკნელი წინამძღვრის – მამა პეტრე ტატალაშვილის მოღვაწეობას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სავანის განვითარებას მიუძღვნა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სავანის ისტორიის ნაწილია.

**სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია:** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილების, კვლევის გარკვეული შედეგების აპრობაცია მოხდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

2022 წლის ივნისში V საერთაშორისო სიმპოზიუმზე „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ (მოხსენება: „საოჯახო ცნობები მამა პეტრე ტატალაშვილზე (მასალები ბიოგრაფიისათვის)“);

2022 წლის ოქტომბერში დოქტორ სიმონ ზაზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული დიასპორა: წარსული და თანამედროვეობა II“ (მოხსენება: „მამა პეტრე ტატალაშვილი – სტამბოლის ქართული სავანის ბოლო წინამძღვარი“).

2023 წლის ივნისსა და დეკემბერში საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, რომელიც ინდექსირებულია საერთაშორისო ბაზებსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკებში: ERIH PLUS, CEEOL (Central and Eastern European Online Library), Sherpa Romeo, Ulrichs WEB და სხვ.) დაიბეჭდა ორი სამეცნიერო სტატია:

- TATENASHVILI, T. (2023). მამა პეტრე ტატალაშვილის საგანმანათლებლო საქმიანობა სტამბოლის ქართულ

სავანეში. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, (IX), 132-154.

Consultado

de <http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/355>

- TATENASHVILI, T. (2023). ფერიქოსის დღესასწაულები. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, (X), 204-220. Consultado de <http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/437>
- „Father Petre Tatalashvili – The Last Prior of The Georgian Monastery in Istanbul“, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „Dergi Karadeniz/დერგი ქარადენიზ“, ივნისი, 2023 წ. <https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/77915/1304312>

## დისერტაციის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის **პირველი თავის** – „ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიიდან XIII-XIX საუკუნეებში“, **პირველ პარაგრაფში** „კათოლიკობის ისტორია XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში“ განხილულია ის ისტორიული ფაქტორები, რამაც განაპირობა საქართველოში კათოლიკობის გავრცელება. ეს მაშინ, როდესაც ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას, სახელმწიფო რელიგიას, მართლმადიდებლობა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ადრეულ შუა საუკუნეებში სარწმუნოებრივი და ეთნიკური ფაქტორი ემთხვევოდა ერთმანეთს, ქრისტიანი და ქართველი ერთი და იმავე ცნების ორ სახელად გაიზარებოდა. ალბათ, ამიტომ იქცა ქართული კულტურის ქვაკუთხედად მართლმადიდებლური ქრისტიანობა, მაგრამ, როგორც რ. თოფჩიშვილი შენიშნავს, ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების (მაჰმადიანობა, კათოლიკობა და სხვ.) გავრცელება გამოიწვია.

კათოლიკობის ისტორია საქართველოში, მეცნიერულადაა შესწავლილი. მკვლევართა უდიდესი ნაწილი მასზე დაყრდნობით კათო-

ლიკობის ისტორიის დასაწყისად XIII საუკუნის I ნახევარს მიიჩნევს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მონდოლთა ურდოების შემოჭრას კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა მოჰყვა, რაც, არსებული მასალების საფუძველზე, უკავშირდება რუსუდანის მეფობის წლებს. მ. პაპაშვილის მიხედვით, 1233 წელს პაპმა გრიგოლ IX-მ საქართველოში თავის წარმომადგენლად გამოგზავნა ფრანცისკელი მისიონერი იაკობ დე რუსანო, ე.წ. მინორიტები, რამდენიმე მისიონერთან ერთად. ამას მოჰყვა 1240 წელს თბილისში დომინიკელების მიერ მეორე მისიონის დაარსება. მათ ფრანცისკელ მისიონერებთან ერთად დაიწყეს კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება რომის ეკლესიასთან გაერთიანების მომზადების მიზნით.

მ. თამარაშვილის მიხედვით, შემდეგი ეტაპი საქართველოში კათოლიკობის ისტორიისა უკავშირდება XIV ს. I ნახევარს. 1329 წელს პაპმა იოანე XXII-მ (1316-1334) ქ. სმირნადან (დღევანდელი თურქეთის ქალაქი იზმირი) თბილისში გადმოიტანა კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა.

XIII-XV საუკუნეებში ვატიკანის მიზანი ეკლესიათა გაერთიანება იყო, ქართველი მეფეები და, ზოგადად, პოლიტიკოსები ფრთხილად ეკიდებოდნენ ამ საკითხს. მას არც უგულვებელყოფდნენ და არც რაიმე კონკრეტულ ნაბიჯს დგამდნენ ამ გზაზე. მართალია, ვატიკანზე დამყარებული იმედები ვერ გამართლდა, მაგრამ, ამის გამო, ქართველი პოლიტიკოსები არ წყვეტდნენ კავშირს რომთან. ქართველი პოლიტიკური მესვეურები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების კონკრეტულ გადაწყვეტას მჭიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რომის პაპების რეალურ სამხედრო დახმარებას. რომში ესმოდათ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების საგარეო-პოლიტიკური კურსის და ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წინა პირობად სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისგან კათოლიკობისა და პაპის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდნენ. ამიტომ დასავლეთიდან სამხედრო დახმარების მოლოდინში ქართველი პოლიტიკოსები შესაძლებლად მიიჩნევდნენ ჩვენში კათოლი-

კური მისიონის არსებობას და თუნდაც რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული კავშირის შენარჩუნებას ევროპასთან, რაც პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით, ხან საკმაოდ ძლიერდებოდა, ხან კი გაუქმების პირას მიდიოდა.

პროფესორ ე. მამისთვალიშვილის მოსაზრებით, საქართველო-რომის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში არაერთგვაროვანი იყო, ინტერესთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XV საუკუნიდან. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის წინა პერიოდში ქართული ეკლესიისა და საქართველოს ხელისუფალთა ბრძოლა მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის პირველად რელიგიურად გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, როდესაც უნია ოფიციალურად უარყოფილ იქნა აღმოსავლეთის ეკლესიების უმეტესობის მიერ, მათ შორის საქართველოს ეკლესიის მხრიდანაც. შესაბამისად, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა ურთიერთობა საქართველოსა და რომს შორის, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1328 წელს თბილისში გადმოტანილმა კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრამ, კრების შემდეგ არსებობა შეწყვიტა. კათედრა მხოლოდ 1493 წელს აღსდგა.

XVI საუკუნის დოკუმენტური მასალები მეტად მწირია. მ. თამარაშვილის კვლევის მიხედვით, XVI საუკუნეში კათოლიკე მისიონერების ახალი ტალღა საქართველოში არ შემოსულა, ამის მიზეზი კი ოსმალთა გაძლიერება, სამიმოსვლო და სავაჭრო გზების ჩაკეტვა, ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლა ყოფილა. როგორც ჩანს, XVI საუკუნის შუა ხანებში ევროპისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა ოსმალური საფრთხე.

1626 წელს რომის პაპმა ურბან VIII-მ (1623-1644) და 1622 წელს კათოლიციზმის პროპაგანდის მიზნით შექმნილმა წმინდა კონგრეგაცია „პროპაგანდა დე ფიდემ“ საქართველოს კათოლიკური მისიონი მიანდეს თეატინელთა ორდენის წარმომადგენლებს.

1661 წლის 13 ივნისის დეკრეტის გადაწყვეტილებით, 1663 წელს კაპუცინთა ორდენის მისიონერები შეუდგნენ მოღვაწეობას საქართველოში. რომმა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმე მიანდო საკუთარი სიღარიბისა და უმკაცრესი ცხოვრების წესის

მატარებელ კაპუცინების ორდენს, ფრანცისკელთა განშტოებას, რომლის წარმომადგენლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ უბრალო ადამიანებზე ევროპაში, აზიასა თუ ამერიკაში.

XVI-XVIII სს. განმავლობაში ვატიკანი კვლავ მიზნად ისახავდა საქართველოს ეკლესიაზე გავლენის მოპოვებას, საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიისადმი დაქვემდებარებას, სწორედ ამას ემსახურებოდა კათოლიკური მისიების მოღვაწეობა საქართველოში. ამიტომ იყო უნიის საკითხი კიდევ აქტუალური. ქართველ მეფეთა დასავლური ორიენტაცია კი მაჰმადიანური გარემოცვიდან ქვეყნის ხსნის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო გზად იყო მიჩნეული და სამხედრო-პოლიტიკური საკითხების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

**პირველი თავის მეორე პარაგრაფში** – „*ცარიზმის პოლიტიკა და კათოლიკე მისიონერების მდგომარეობა XIX საუკუნეში*“, განხილულია XVIII საუკუნის ბოლოს, კრწანისის ბრძოლის შემდეგ არსებული რთული ვითარება საქართველოში. ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრება და გადაწვა, მათ შორის კათოლიკური ტაძრებისაც, რასაც მოჰყვა არამართო ქართველების, არამედ კათოლიკე მისიონერების მდგომარეობის გართულებაც. XIX ს. დასაწყისში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფომ შეწყვიტა იურიდიულად არსებობა – რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, 10 წლის შემდეგ კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიაც.

თავდაპირველად, რუსული ჯარის შემოსვლამ მოსახლეობას და მათ შორის კათოლიკე პატრებს იმედი მისცა, რომ ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებდა და ისინიც შეძლებდნენ თავიანთი მოვალეობის მშვიდად აღსრულებას. მოვლენების შემდგომი განვითარებამ აჩვენა, რომ ეს მშვიდობა მოჩვენებითი იყო. მ. თამარაშვილი აღნიშნავდა, „რომ ამიერიდგან ვეღარც მტრები ინავარდებდნენ კათოლიკების წინააღმდეგ და ვეღარც პატრებს დაუშლიდა ვინმე თავიანთ სამსახურის თავისუფლად აღსრულებას. მართლაც ამ საუკუნემ როგორც საქართველოს, ისე კათოლიკობასაც ახალი ხანა დაუყენა. ამ დიდ განსხვავებას ცხადათ დავინახავთ ამ თავშიმოსაყვანი საბუთებიდან“. ამგვარ განწყობას ჰქონდა ჰქონდა თავისი საფუძველი, რადგან საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წ. 12 სექტემბრის მა-

ნიფესტით ყველა სარწმუნოებას ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდა. სწორედ ამან გაახარა კათოლიკე მამები, რომ მშვიდად შეძლებდნენ თავიანთი საქმიანობის აღსრულებას, თუმცა 1735 წელს რუსეთის მთავრობის ბრძანებით, იმპერიაში აიკრძალა მართლმადიდებლების კათოლიკობაზე გადასვლა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ეს კანონი ამოქმედდა საქართველოს ტერიტორიაზეც.

მოლოდინი, რომ „ამიერიდგან ვედარც მტრები ინავარდებდნენ კათოლიკების წინააღმდეგ და ვედარც პატრებს დაუშლიდა ვინმე თავიანთ სამსახურის თავისუფლად აღსრულებას“, ქრისტიანული რუსეთის მფარველობის გამო, არ გამართლდა არც პოლიტიკური და არც რელიგიური თვალსაზრისით. მართლაც ახალი ხანა დაუყენა ამ საუკუნემ როგორც საქართველოს, ისე – კათოლიკობასაც. სწორედ XIX საუკუნეში შეწყდა კათოლიკე მისიების შემოსვლა საქართველოში. მეფის რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო მისიონერთა აღმოსავლეთიდან განსადევნად, მათ ევროპის „ჯაშუშებად“ მიიჩნევდა. ცარიზმის პოლიტიკა მიმართული იყო იმპერიაში შემავალი პერიფერიებში სომხური ეკლესიებისა და სომხური სავაჭრო კომპანიების განმტკიცებისკენ.

**მეორე თავის – „სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკეები XIX საუკუნის II ნახევარში“ პირველ პარაგრაფში – „ქართველი კათოლიკეების ბრძოლა ეროვნული და სარწმუნოებრივი უფლებების დაცვისათვის“** განხილულია რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა XIX საუკუნესა და XX ს. დამდეგს საქართველოში არსებული კონფესიების მიმართ. ცარიზმის პოლიტიკის გამო ამ პერიოდში კათოლიკობას საქართველოში მძიმე პირობებში უხდებოდა არსებობა. მათ შვიდსაუკუნოვან მოღვაწეობას საქართველოში რუსეთმა წერტილი დაუსვა. ამგვარმა მიდგომამ ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა საგრძნობლად გაართულა, რაც გულისხმობდა იმას, რომ რუსეთის მთავრობამ რეალურად ქართველი კათოლიკეები სომხებად გამოაცხადა და აუკრძალა ქართული ტიპიკონით მღვდელმსახურება. საქართველოსთან სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ, ქართველებმა მოითხოვეს ქართულ ტიპიკონზე გადასვლა, ხოლო როდესაც ეს ვერ მოხერხდა, გადაწყვიტეს ლათინური ტიპიკონის მიღება. ეს იყო ერთადერთი გზა



ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად სჭირდებოდათ. ქართველი კათოლიკეების პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციამ დაიწყო აქტიური ბრძოლა ქართული ტიპიკონის აღსადგენად. არაერთი მეცნიერი ქართველ კათოლიკეთა საკითხს პირდაპირ უკავშირებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რადგან იგი ეხებოდა როგორც ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებას, ასევე მათ ეროვნულობის დაცვას.

**მეორე პარაგრაფში** – „ქართველი კათოლიკეების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა (ფერიქოის სავანის დაარსება)“ განხილულია ქართველი კათოლიკეების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა რომელიც უკავშირდება „მესხი განმანათლებლების“ სახელს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად მიმართული იყო უფლისა და სამშობლოს სიყვარულისკენ. სამშობლოდან შორს, უცხოეთის ცის ქვეშ უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც სამშობლოს და მშობლიური ერის მიმართ ზრუნვასა და თავგანწირვას უკავშირდება. ამის საუკეთესო მაგალითია პეტრე ხარისჭირაშვილი მოღვაწეობა, მისი ძალისხმევით 1861 წელს სტამბოლში დაფუძნდა „უბიწოდ ჩასახვის კონგრეგაციის საძმო,“ სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველების ევროპულ განათლებას, ოსმალეთის ქართველებში წერა-კითხვის გავრცელებას, სტამბოლში ქართული სტამბის დაარსებას და სხვა.

სავანე საუკუნოვანი (1861-1961) არსებობს მანძილზე წარმოადგენდა როგორც სასულიერო, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრს. აქ არაერთი ეროვნული, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღონისძიება განხორციელდა. სასულიერო სასწავლებლის, ქართულ-ფრანგული და ქართული-ბერძნული სკოლების (1881), სტამბის (1870), ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (1914), აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის (1907) არსებობა დასტურია სავანის ძალზედ საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა. სწორედ სავანე გახდა იმდროინდელი ქართველი კათოლიკეების განათლების კერა, რომელმაც გზა გაუხსნა ქართველ ახალგაზრდებს ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი ევროპაში განათლების მისაღებად.

**მესამე თავში** – „სტამბოლის ქართული სავანე და მისი უკანასკნელი წინამძღვარი – მამა პეტრე ტატალაშვილი“ წარმოდგენილია სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ბოლო წინამძღვრის – მამა პეტრე ტატალაშვილის მოღვაწეობა.

**პირველი პარაგრაფი** – „ბავშვობის წლები სამშობლოში“ იწყება პეტრე ტატალაშვილის ბიოგრაფიის აღწერით საოჯახო ცნობების მიხედვით. პეტრე ტატალაშვილის ცხოვრებაში მშობლიურმა სოფელმა, იქ არსებულმა განათლებულმა გარემომ და ოჯახმა დიდი როლი შეასრულა მისი როგორც პიროვნების, საზოგადო მოღვაწისა და მორწმუნე კათოლიკეს ჩამოყალიბებაში.

მომდევნო, **მეორე პარაგრაფში** – „სტამბოლის ქართულ სავანეში“ განვიხილავთ პეტრე ტატალაშვილის სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში სწავლის გაგრძელებას. რვა წლის ასაკში წაიყვანეს სტამბოლში განათლების მისაღებად და სამშობლოში სულ რამდენჯერმე მოუწია საქმიანი ვიზიტებით დაბრუნება.

მამა პეტრემ სტამბოლის ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის ქართული კათოლიკურ მონასტერში მამების – ალფონს ხითარიშვილისა და ბენედიქტე ვარდიძის, ხელმძღვანელობით მიიღო პირველი განათლება ფრანგულ და ლათინურ ენებზე. 1900 წ. 3 სექტემბრიდან სწავლა გააგრძელა წმინდა ლუის სემინარიაში, რომელიც წარმატებით დაუმთავრებია 1906 წელს. 1908 წ. აგვისტოს ბოლოს რომში გაემგზავრა ბენედიქტელ მამათა წმინდა ანსელმოს კოლეჯში ბერძნული ტიპიკონის განყოფილებაში სასწავლებლად, რომელიც 1911 წელს წარჩინებით დაასრულა, ფილოსოფიისა და თეოლოგიის მიმართულებით. რომის საისტორიო საარქივო მასალებში იგი მოხსენიებულია მამა შიოს (ბათმანაშვილი) თანამოწაფედ, ისე, როგორც ფერიქოის სასწავლებლის მოსწავლეთა უმრავლესობას, მასაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მიეღო ხარისხი ფილოსოფიის და თეოლოგიის განხრით, რისთვისაც ავსტრიაში უნდა გამგზავრებულიყო. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან (მიმოწერა მიხეილ თამარაშვილთან, საარქივო მასალები ირკვევა, იგი ელოდებოდა სტამბოლის ქართული მონასტრის წინამძღვრის მამა ბენედიქტეს თანხმობას, რომელიც პირადად პატრ მიხეილ თამარაშვილს განუცხადებია მამა პეტრე ტატალაშვილისთვის.

1896 წელს პეტრე ტატალაშვილი სტამბოლში ჩავიდა და მ. თამარაშვილის მოწაფეც გახდა. შ. ლომსაძის მიხედვით, 1896-1897 წწ. ფერიქოის ქართულ სკოლაში მოსწავლეებს ღვთისმეტყველებას და ფილოსოფიას ასწავლიდა მიხეილ თამარაშვილი რომელმაც იმ პერიოდისთვის მოახერხა სასწავლო პროგრამების მოდერნიზება ისე, რომ „მაღალი სწავლება ჩვენს სკოლაში სრულებით არ იყო, ისიც შემოვიტანე,“ როგორც მიხეილ თამარაშვილი ამბობდა. სწორედ ასე დაიწყო მ. თამარაშვილისა და პ. ტატალაშვილის ურთიერთობა, როგორც მასწავლებლისა და მოსწავლისა, რომელიც თამარაშვილის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

ახალგაზრდა პეტრე 1909 წ. ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი 1912 წ. მღვდლად ეკურთხა. წმინდა ანსელმოს კოლეჯის დასრულებისთანავე (1908-1911წწ.) სტამბოლში დაბრუნდა და 1911 წლიდან მონასტრის მდივანი და სასწავლო პროცესებზე პასუხისმგებელი პირი გახდა.

„პეტრე ტატალაშვილი სტამბოლში იყო მონასტრის მოძღვარი, მამა შიოს თანამოწაფე. კარგი ორდანიისტი და კარგი მგალობელი, მოძღვრისათვის საუკეთესო თვისებები მქონე პიროვნება, მოწოდებული სასიკეთო საქმეებისათვის, სანდო და ღირსეული, კარგი ორგანიზატორული უნარების მქონე მოძღვარი, რომელიც ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა“ – ამგვარად არის დახასიათებული რინალდო მარმარას მიერ რომის სახელმწიფო სამდივნოს ისტორიული არქივიდან მოპოვებული მასალების მიხედვით მამა პეტრე ტატალაშვილი.

**მესამე პარაგრაფში** – „წერილები რომიდან,“ წარმოდგენილია მამა პეტრე ტატალაშვილის მიერ რომში სწავლის პერიოდი. სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის არქივში სხვადასხვა თემატიკისა და პერიოდის მასალა გამოვლინდა მამა პეტრე ტატალაშვილზე. მისი ევროპაში განათლების მიღების თვალსაზრისით საყურადღებოა წერილები რომიდან (დაახლოებით 20 წერილი), რომელიც წმინდა ანსელმოს კოლეჯში სწავლის პერიოდში იქნა მის მიერ გამოგზავნილი სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში. წერილების აღრესატები არიან მამა ალფონს ხითარიშვილი და მონასტრის წინამძღვარი ბენედიქტე ვარდიძე. აღნიშნული ეპისტოლარული დოკუ-

მენტები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პეტრეს ბიოგრაფიისა და სავანის ქართული საძმოს წევრების შესახებ, მათ ევროპულ განათლებაზე. წერილები იწყება მონასტრის მესვეურთა მოკითხვით: „ღმერთმან მონასტერი აღადგინოს და წინ წარმართოს მის სადიდებლათ და ჩვენს უბედურ სამშობლოს სასიკეთოდ“. რომიდან გამოგზავნილი წერილები გამოიჩინეს მოკრძალებითა და მოწიწებით, ეს პათოსი გაჰყვება თითოეულ ადრესატს, წერილების მიხედვით, ავტორი მონასტერს თავის დიდ ოჯახად თვლის, გათავისებული აქვს სამონასტრო ცხოვრების წესები, სირთულეები. მაღლიერია მონასტრის წინამძღვრის, რომელმაც სასწავლებლად რომში წმინდა ანსელმოს კოლეჯში ქართველ ძმებთან ერთად გაამგზავრა, ფინანსურად უზრუნველყო მათი სწავლის და ცხოვრების ხარჯები. პეტრე ტატალაშვილი ერთ-ერთ წერილში წერდა: „*მე ვერ ვიცხოვრებ მონასტრის გარეთ, უდაბნოება მე არ მიცინის*“.

**მეოთხე პარაგრაფში** – „*მიხეილ თამარაშვილი – პეტრე ტატალაშვილის მასწავლებელი*“, წარმოდგენილია პ. ტატალაშვილისა და მ. თამარაშვილის ურთიერთობა. მამა პეტრეს პიროვნების, როგორც საზოგადო მოღვაწის პორტრეტის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია მ. თამარაშვილისადმი მისი დამოკიდებულების წარმოჩენა, რაც კარგადაა ასახული მისდამი მიწერილ წერილებში. წერილების უმეტესობა კერძო ხასიათისაა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, (თამარაშვილი გაცილებით უფროსი იყო მასზე), მათ ურთიერთობაში განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება ჩანს. იგი მუდამ პატრონობდა და გვერდში ედგა ახალგაზრდა პეტრეს ევროპაში სწავლის პერიოდში.

აშკარაა, რომ მიხეილი, თავისი განათლების, მაღალი ზნეობრივი პრინციპების გამო, მონასტრის ახალგაზრდა თაობისათვის დიდი ავტორიტეტი იყო, უყვარდათ და აფასებდნენ. თავის მხრივ იგი, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე მხარში ედგა მონასტრის ახალგაზრდებს, ზრუნავდა მათზე შორეულ ევროპაში. წერილებიდან ირკვევა, თუ როგორ პატრონობდა მიხეილ თამარაშვილი ახალგაზრდა პეტრეს, რომელიც იტალიაში განათლების მისაღებად სტამბოლის ქართული სავანიდან წარგზავნეს. ხშირია, როდესაც შაბათ-კვირას ან არდადეგებზე სტუმრობდა ან „ღამის შესახიზარს“ სთხოვდა

რომში მცხოვრებ თამარაშვილს, ასევე ხშირად უყვებოდა სასწავლებლის ამბებს.

1910 წ, ოქტომბერში პ. ტატალაშვილი ატყობინებდა მიხეილ თამარაშვილს, რომ ვართაპეტ ნერსესიანი სომხურ გაზეთში თამარაშვილის საწინააღდეგოდ აპირებდა სტატიის დაბეჭდვას: „ბატონო, პ. ემანუელი ვინიდან (ვენიდან – თ.თ.) იწერება, რომ მხითარისტუბისას ვიყავიო. თქვენს წიგნზედ „ბრაზიანად ელაპარაკნენ და ვითარცა ვართაპეტ ნერსესიანმა სომხურ გაზეთებში თქვენს წინააღმდეგ უნდა დაწეროს: ეს თქვენთვის, ბატონო დიდება არის და არა მურაცხყოფა, რომ კუდზე ფეხი დაადგით სომხებს.“ მ. თამარაშვილის თანამოაზრეები, ქართული საძმოს წევრები, მისი სტუდენტები მხარში უდგნენ მას და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ დახმარებას. პეტრე ტატალაშვილის წერილიც ამის დასტურია. თუმცა მ. თამარაშვილმა კარგად იცოდა, რომ მის ევროპაში მოღვაწეობას სომხები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს და ამ წიგნის დაბეჭდვა მათთვის დიდი დარტყმა იქნებოდა.

**მეხუთე პარაგრაფში** – „საგანმანათლებლო საქმიანობა სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულ სასწავლებლებში“, წარმოდგენილია პ. ტატალაშვილის საგანმანათლებლო საქმიანობა. მამა პეტრე სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა მონასტრის სასწავლო პროცესების მართვას სათავეში, დიდი პასუხისმგებლობითა და სრული ენთუზიაზმით. მონასტრის მესვეურები ჯერ კიდევ პეტრეს რომში სწავლისას უკვე დიდ იმედებს ამყარებდნენ პეტრეზე, ერთ წერილში იგი წინამძღვარს წერდა: „როგორც იწერებით, ან მონასტერში ან ფაფასკვერში უნდა დამაყენოთ მასწავლებლად: რამდენიმე კვირა კიდევ მოითმინეთ და რაც სექტემბერში უნდა გამარიგებინოთ, იმას შემდეგაც მოვასწრებ და უკეთესად, რადგან მეტი ნასწავლი მექნება“.

სავანის არქივში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტები, მონასტერთან არსებული სკოლების საგანმანათლებლო პროგრამები. სასკოლო პროგრამებში ყურადღება მახვილდებოდა იმ საჭიროებებზე, რომელიც მონასტრისთვის იყო მნიშვნელოვანი, მოსწავლეებს ამზადებენ არამარტო სასულიერო განათლების კუთხით, ასევე მეცნიერების, სახალხო თარგმანების, საბიბლიოთეკო და საარქივო საქმის შეს-

წავლისათვის, რაც მიუთითებს, იმაზე რომ მონასტრისათვის მომავალი კადრის გამოზრდა უმნიშვნელოვანესი იყო. სწორედ ეს ახალგაზრდები დარჩებოდნენ მონასტერში და გააგრძლებდნენ სასულიერო, სამეცნიერო ან პედაგოგიურ საქმიანობას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია 1931 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც სავანის მესვეურებს ადრინდელი ურთიერთობები აღარ ჰქონდათ საქართველოსთან, რაც გამოწვეული იყო საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობით. სავანეშიც შემცირდა საქართველოდან წასული ქართველი ახალგაზრდების რაოდენობა. სავანე აგრძელებდა თავის საგანმანათლებლო საქმიანობას, ზრუნავდა სტამბოლის შერეული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ბავშვების განათლებაზე. ეს ფაქტი კი, ძალიან ამაღლებს მის საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ფუნქციას. უფრო მეტიც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სავანის სკოლები თავისი შინაარსით მომავალზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე იყო ფოკუსირებული.

**მეექვსე პარაგრაფში – პეტრე ტატალაშვილი და მისი „საბუთების ისტორია“** – საუბარია მის მიერ მონასტრის არქივში არსებული დოკუმენტების აღწერა-შენახვის შესახებ. მონასტრის არქივში არაერთი დოკუმენტი აღმოჩნდა მინაწერით: *„(შენიშვნა): ეს წერილი სიტყვასიტყვით გადავსწერე თვით შეცდომების, მონასტერში შესანახად. მ.პეტრე ტატალაშვილი საყოველთაოდ მდივანი მ. უ. ჩ.“*

როგორც ჩანს, მამა პეტრე თავისუფალ დროს არქივის აღწერას და სრულყოფას ცდილობდა, თუმცა სავანის არქივში მუშაობის დროს (დროის სიმცირის გამო) მხოლოდ რამდენიმე აღდგენილი დოკუმენტი უნახავს.

აღსანიშნავია პ. ტატალაშვილის *„ჩემი საბუთების ისტორია“*, სადაც ის წერს: *„როდესაც მონასტერში ამოვედი... თვალი გადავავლე წარსულს და მის მოგონებაში, ფიქრში მომივიდა შერება და დახვეწა იმ შესანიშნავ ცნობათა და ამბავთა, რომელნიც მოხდნენ ჩემი ამ მონასტერში მოსვლის აქეთ, ე.ი. 1896 წლისგან თუ მონასტერშივე და თუ სემინარიაში ჩემი იქ ყოფნის დროს. მართლაც, ეს გადაწყვეტილება შევასრულე და დავსწერე: „თარიღი სხვათა და სხვათა ამბავთა“.*

**მეშვიდე პარაგრაფი – „ნოველებში გაცოცხლებული ბავშვობა“**

– მიეძღვნა მამა პეტრე ტატალაშვილის მიერ დაწერილ ნოველებს, რომელშიც გაცოცხლებულია მისი ბავშვობა. „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, მემუარების ნაწილში, პეტრე ტატალათი-ს სახელით გამოქვეყნებულია პეტრე ტატალაშვილის მოგონებანი ბავშვობაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობები „თავგადასავალი“, „უმანკო ჩასახების დღეზე“, „ადღგომა“, „სიცილს ტირილი მოჰყვება“, „უნებლიედ ბანება“. მამა პეტრე ტატალაშვილს, სამშობლოდან შორს ბავშვობის წლები გაახსენა და თავისი თავგადასავლები პატარ-პატარა ნოველებად შეაგროვა. რაც ადასტურებს მის საოცრად მგრძნობიარე ბუნებას, მშობლიური კუთხის მონატრებას და წარსული ბავშვობის სიყვარულს.

**მერვე პარაგრაფში** – „ქართული ტიპიკონის მხარდაჭერა“ – შევისწავლეთ ქართული ტიპიკონის საკითხის მნიშვნელობა სტამბოლის ქართული საძმოს წევრებისათვის. სტამბოლის ქართული სავანისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ქართული ტიპიკონის საკითხი, როგორც თვითონ სავანეში, ასევე საქართველოში. მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა თავის მონასტერს „ქვაკუთხედად“ დაუტოვა ქართული ტიპიკონი. XX ს. 30-იან წლებში წმიდა საყდრის პაპის კომისიის პასუხისმგებელი პირი – ანჯელო რონკალი სამოციქულო ვიზიტის დროს ანგარიშში ხაზს უსვამდა ამ გარემოებას და აღნიშნავდა: „მაშეებში შევნიშნე მთამბეჭდავი ერთსულოვნება, რომლითაც ისინი ემხრობიან ქართულ წესს, თუკი კონგრეგაციას ხელახლა დაუდგება აყვავების პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ მათ უწყიან, თუ რა ბრძოლის გადატანა უწევთ მათ თანამოძმეებს საქართველოში ქართული წესის დასაცავად, სირთულეები ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ყველანი მიდასტურებენ რომ იდეალი, რომელსაც უნდა ვესწრაფოთ, ესაა: ადღგეს ქართული ეროვნული წესი.“

საქართველოში ქართული ტიპიკონის მოპოვების საკითხში ქართველ კათოლიკეებს ყოველთვის მხარში ედგნენ სავანეში მოღვაწე მღვდლები, როგორც სავანის ყველა მესვეური, პეტრეც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ებრძოდა მესხეთში „გასომხების“ პოლიტიკას, იბრძოდა ქართველობისთვის, მესხეთში ქართული ენისა და ქართული ტიპიკონის დაბრუნებისთვის. სტამბოლის ქართველი კათოლიკეები, რომლებსაც XX ს. 20-იანი წლებისთვის დიდი

ბრძოლით ხელახლა ჰქონდათ მოპოვებული ქართული ტიპიკონი, ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისათვის, რათა მათაც შეძლებოდათ ქართულ ენაზე წირვალოცვის ჩატარება. სავანის არქივში არსებული წერილების საფუძველზე ირკვევა, თუ როგორ აქტიურადა იყო ჩართული და გულშემატკივრობდა პეტრე ტატალაშვილი მესხეთში ქართველი კათოლიკეების ბრძოლას, სომეხი სასულიერო პირების ქართველ კათოლიკეთა მმართველობაში ჩამოშორებისათვის.

1919 წ. რომის პაპის დელეგატის ანტონი დელფუშის ახალციხეში ვიზიტის დროს, მამა პეტრეც თან ახლავდა. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება რომის საისტორიო არქივის მასალებითაც. მამა პეტრემ ვიზიტამდე გაგზავნა წერილი სამშობლოში. სავანის საარქივო მასალებში აღმოჩნდა წერილი, რომლითაც მამა პეტრე ტატალაშვილი მიმართავდა მშობლიურ მესხ თანამოაზრეებს: *„მამა ემანუელი მოვიდა და მანდაური ამბავი და სულთავნება (გულისტკივილი) გაგვაგებინა. ფრიად გაგვიკვირდა მანდაურ კათოლიკეების მოთხოვნისა ტიპიკონის შესახებ. ჩვენ აქედან რომში ყველანაირად ვმოქმედებთ ქართული ტიპიკონისთვის და მანდ სულ სხვა აზროვნება ტრიალებს. რომი მანდაურებისთვის ქართულ ტიპიკონს ესრეთ მრავალგზის დაგვირდა აქური ეპისკოპოსი და ელჩი. დროა მოვიყაროთ თავი ყველამ ერთად და ჩვენი საზოგადოების საქმე გავაკეთოთ, თუ არა და მომავალი ხელიდან გამოგვეცლება. ვიზიტატორისგან ბევრი ვერ გავიგე რა დადებითი: თვითონ კი შეიარაღებული მოჩანს და სომხებისგან გაბრაზებული. დაუხვდით ჯეროვნად!“*

**მეცხრე პარაგრაფი** – „სავანის საკადრო პრობლემები“ – სრულიად ეთმობა სავანისათვის მეტად აქტუალურ საკითხს – საკადრო პრობლემებს, რომელიც 1920-იან წლებში მწვავედ დადგა, ვინაიდან საქმე ეხებოდა ღვთისმსახურე ბერების რიცხვის კიდევ შემცირებას. საკადრო პრობლემამ მონასტრის შემდგომი არსებობის საკითხი დააყენა. ფერიქოის სავანის არსებობა მაინც დამოკიდებული იყო საქართველოდან წაყვანილ ყმაწვილებზე. მ. პაპაშვილის მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი ცდა იყო 1913 წელს, როდესაც სავანის ბერები პირადად ჩავიდნენ და სამცხე-ჯავახეთიდან ფერიქოის მონასტრის სკოლის-



